№ 78 მთავრობის მოამგე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ოთხშაბათი, 7 აპრილი 1920 წ.

მთავრობის მოამგე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

საქართველოს ცენტროზანკი

ტფილისი, თავისუფლების მოედანი (ყოფ. ერევნის) № 3 საკრედიტო საზოგადოების სახლი, ტელეფ. 3—46).

ძირითადი კაპიტალი 30,000,000 მანეთი.

ხსნის თავის მოქმედებას და კომერციულ ბანკების ყველა ოპერაციებს. იღებს შესანახად შეტანილ ფულს ვადით და უვადოთ, უბრალოდ და პირობით მიმდინარე ანგარიშებს, ბონებს და უცხო ვალიუტას და იძლევა მათ დაუყონებლივ პირველ მოთხოვნილებისთანავე. იღებს და იძლევა გადასაგზავნ ფულს და აკრედიტივებს საქართველოს ყველა ქალაქებისა და უცხოეთისთვის. ყიდულობს და ყიდის მონეტობილობებით უცხოეთის ვალიუტას. ანაღლდებს ფასიან ქაღალდებს, ვექსილებს სავაჭრო ვალდებულებათა და სხ.

ცენტრ. ბანკთან არის ფოლად გაკრული საწყობები. 406 2—2

სახელმწიფო თეატრი

ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

ოთხშაბათს აპრილის 7-ს

გალაქტიონ ტაბიძის საღამო

1. მოხსენება გ. ტაბიძის პოეზიის შესახებ. 2) ოპერა „თავადი იგორიდან“ (პოლოველთა-ბანაკი) აპრილის 8-ს ს. დევდარიანის ლექცია რუსეთის რევოლიუციის შესახებ. 411

კავკასიაში ბეჭდვითი საქმის აქციონერთა საზოგადოების გამგეობა

სთხოვს ბ. ბ. აქციონერებს მობრძანდნენ გაზ. „სლოვოს“ რედაქცია—კანტორის ბინაზე (ბარიათინის ქუჩა, № 6) ხუთშაბათს, 29 აპრილს 1920 წ., საღამოს 7 საათზე დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება. განსახილველია: საზოგადოების აქციების მეოთხე გამოცემის საკითხისა. 1—1 409

საქართველოს კოოპერატიული ბანკი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 11)

დაიწყებს მოქმედებას მიმდინარე წლის 19 აპრილიდან და აწარმოებს ყოველგვარ საბანკო ოპერაციებს. ბანკის გამგეობა ამით აცხადებს აქციონერთა საყურადღებოთ, რომ გამოცემული აქციების ნომინალური ღირებულების დანარჩენი 70 პროცენტი მათ მიერ შემოტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 მაისამდე. აქციონერებს, რომელნიც აღნიშნულ ვადამდე არ შემოიტანენ აქციის სრულ ღირებულებას, გამგეობა მოექცევა ბანკის წესდების მერვე მუხლის თანახმად.

412 3—1 **საქ. კოოპერატიული ბანკის გამგეობა**

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი.

მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

4 მარტი, 1920 წ. № 72.

ინიშნება: სამინისტროს სამეჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწის თანამდებობაზე ალექსანდრე მიხეილის ძე სახანსკი ამა წლის 1 მარტიდან.

4 მარტი, 1920 წ., № 73.

აღმატებულ იქნან: მიწის მზომლის ხარისხში მიწის მზომლის თანაშემწენი: თავშავაძე, გეგელიშვილი, მინიჩი, ვერესოვი, სირომოლოტოვი, მოსეშვილი, აბზიანიძე, ლომბაშიძე, ზამთარიძე და მიქელაძე ამა წლის 1 მარტიდან.

4 მარტი, 1920 წ., № 74.

ინიშნება: სამინისტროს სამეჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწის თანამდებობაზე ვასილი ვასილის ძე კირილენკო ამა წლის 1 მარტიდან.

28 თებერვალი, 1920 წ., № 75.

დანიშნულია: ივანე გორიაშვილი არგვეთის მამულის მებალეთ ამა წლის თებერვლის 10-დან.

5 თებერვალი, 1920 წ., № 76.

ინიშნება: კ. დ. კვიტაშვილი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის აღმასრულებლად რაჭის სატყეოში 4 მარტიდან 1920 წ.

6 მარტი, 1920 წ., № 77.

ინიშნება: მ. ს. მინდიაშვილი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

8 მარტი 1920 წ. № 78

დანიშნულია: აგრონომი ვიკტორ ვასილის ძე მიხეევი „იგუბნოვის“ სახელმ. მამულის მოურავის მოვალეობის დროებით აღმასრულებლათ.

8 მარტი, 1920 წ., № 79.

დათხოვნილია: ტფილისის ბოტანიკურ ბაღის მემანქანე ზ. ი. თურქესტანოვისა ნაციონალიზაციის გამო ა. წ. მარტის 1-დან.

დანიშნულია: ტფილის ბოტანიკურ ბაღის მემანქანედ ლ. ზ. ღურბელაძე ა. წ. მარტის 1-დან.

10 მარტი, 1920 წ., № 80.

ინიშნება: მიწათ-მოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოში, ყარაიაზის ეროვნულ მამულების პირველ განყოფილების კაპიტალურ რემონტის მოსარწყავ სისტემის ტეხნიკად ილია პორფირეს ძე ჯანელიძე ა. წ. 19 თებერვლიდან.

10 მარტი, 1920 წ., № 81.

დათხოვნილია: მიწათ-მოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოს, ყარაიაზის ეროვნულ მამულების პირველ განყოფილების კაპიტალურ რემონტის მოსარწყავ სისტემის ტეხნიკი, პლატონ პეტრეს ძე ზიმინი ა. წ. 19 თებერვლიდან.

10 მარტი, 1920 წ., № 82.

ინიშნება: მიწათ-მოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოს, ყარაიაზის ეროვნულ მამულების პირველ განყოფილების მესაწყობეთ ივანე სერგეის ძე სტროევი ა. წ. 7 თებერვლიდან.

10 მარტი, 1920 წ., № 83.

ინიშნება: მიწათ-მოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოს, ყარაიაზის ეროვნულ მამულების მეორე განყოფილების ათისთავად შალვა გრიგორის შე ჭუმბურიძე ა. წ. 4 მარტიდან.

11 მარტი, 1920 წ., № 84.

დათხოვნილია: ტფილისის ბოტანიკურ ბაღის მემანქანე ზ. თურკესტანოვისა ნაციონალიზაციის გამო ა. წ- მარტის 1-დან.

დანიშნულია: ტფილისის ბოტანიკურ ბაღის მემანქანეთ ლ. ღურბელაძე ა. წ. მარტის პირველიდან.

11 მარტი, 1920 წ. № 85.

გადაყვანილია: მიწათ-მოქმედების სამინისტროს ბუხჰალტერი მ. ნანუკაშვილი სასოფლო მეურნეობის განყოფილების სახელმწიფო მამულთა სექციის საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად ა. წ. მარტის 2-დან.

11 მარტი, 1920 წ. № 86.

დანიშნულია: აგრ. ბ. ფარსადანოვი სასოფ. მეურნ. და სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში მებამბეობის სპეციალისტად, მებაღეობის და მევენახეობის სპეციალისტი დ. გორთამაშვილი წინამძღვრიანთ-კარის სასოფ. სამეურნ. სკოლის გამგედ და ნ. ძიძიგური—იმავე სკოლის მასწავლებლად ა. წ. მარტის 1-დან.

11 მარტი 1920 წ. № 87.

დანიშნულია: ეკონომიურ მეცნიერების კანდიდატი კლ. შაბადი „იგუმნოვო“-ს სახელმწიფო მამულის მოანგარიშედ ა. წ. მარტის 12-დან.

11 მარტი 1920 წ. № 88.

დათხოვნილია: სასოფლო მეურნეობის განყოფილების სახელმწიფო მამულთა სექციის საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასულრებელი ელ. ღოღობერიძე მისი თხოვნის თანახმად ა. წ. მარტის 15-დან.

დანიშნულია: სასოფლო მეურნეობის განყოფილების სახელმწიფო მამულთა სექციის საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად შ. ბუაჩიძე ა. წ. მარტის 15-დან.

11 მარტი 1920 წ. № 89.

ინიშნება: სამინისტროს სამეჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანამდებობაზე ნიკოლოზ თევდორეს ძე ჩაიკოვსკი ამა წლის 1 მარტიდან.

11 მარტი 1920 წ. № 90.

ინიშნება: სამინისტროს სამეჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწის თანამდებობაზე ნიკოლოზ ივანეს ძე ნათობიშვილი ამა წლის 1 მარტიდან.

11 მარტი 1920 წ. № 91.

ინიშნება: სამინისტროს სამეჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწის თანამდებობაზე ისააკ სერგოს ძე ბაკუჩოვი 10 მარტიდან ამა წლისა.

11 მარტი 1920 წ. № 92.

ინიშნება: სამინისტროს სამეჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწის თანამდებობაზე გიორგი ვილგელმის ძე რაულედერი ამა წლის 10 მარტიდან.

11 მარტი, 1920 წ. № 93.

ინიშნება: სამინისტროს სამეჯნაო განყოგანყოფილებაში მიწიი მზომლის თანაშემწის თანამდებობაზე სერგო ივანეს ძე იანკოვი ა. წ. 10 მარტიდან.

11 მარტი, 1920 წ. № 94.

ინიშნება: სამინისტროს სამეჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწის თანამდებობაზე სუმბათ მელიკსეტის ძე ნერსესიანცი ა. წ. 10 მარტიდან.

13 მარტი, 1920 წ. № 95.

დათხოვნილია: კახეთის სახელმწიფო მამულების ექიმი მიხ. მაჭარაშვილი ა. წ. მარტის 11-დან.

დანიშნულია: კახეთის სახელმწიფო მამულების ექიმის თანამდებობის აღმასრულებლად ალ. იმერლიშვილი ა/წ. მარტის 15-დან.

15 მარტი, 1920 წ., № 96.

ინიშნება: საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გამგეებათ დავით ტიხონისძე შუშკოვი და კონსტანტინე ფილიპეს ძე შარაშიძე, პირველი ამა წლის 1 მარტიდან და მეორე იმავე წლის 15 მარტიდან.

16 მარტი, 1920 წ., № 97.

დათხოვნილნი არიან: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გამგენი ანდრონიკე ზაქარიას ძე გძელიშვილი და ვლადიმერ კაპიტონის ძე გაწერილია, პირველი 1920 წ. 10 მარტიდან სახელმწიფო კონტროლის უწყებაში გადასვლის გამო და მეორე იმავე წლის 1 მარტიდან სამსახურის სასარგებლოთ, ორივენი სალიკვიდაციო ჯილდოს მიუცემლათ.

17 მარტი, 1920 წ. № 98.

ინიშნება დროებით: გ. დ. ჭაგნელიძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

17 მარტი, 1920 წ. № 99.

გამორიცხულია: სოხუმის საცდელ სადგურის მოსამსახურეთა სიიდან სადგურის მებაღე ხორენ გრიგოლის ძე ჯარაკოვი ა/წ. თებერვლის 28-დან გარდაცვალების გამო.

17 მარტი, 1920 წ., № 100.

დანიშნულია: ბესტუჟევის ქალთა უმაღლეს კურსების საბუნების-მეტყველო ნაწილის კურს დამთავრებული რაისა სავენკო ტფილისის ბოტანიკურ ბაღში პრეპარატორის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ა. წ. მარტის 10-დან.

17 მარტი, 1920 წ., № 101.

დამტკიცდნენ: თფილისის ბოტანიკურ ბაღის პრეპარატორის თანამდებობის დროებით აღმასრულებლათ მოწვეულნი ნონო კახიძე და თამარ სულაქაძე ამავე თანამდებობაზე, ამ თანამდებობისათვის დაწესებულ ჯამაგირით ა. წ. მარტის 1-დან.

18 მარტი, 1920 წ., № 102.

დანიშნა: გადასახლების განყოფილებაში მოანგარიშის თანამდებობაზე ნადეჟდა ოქროპირეს-ასული სვანიძე ა. წ. 4 თებერვლიდან.

18 მარტი 1920 წ. № 103.

ინიშნება: ტფილისის სახელმწიფო სარდაფის კანტორის მოხელეთ მოსე ბეჟუკის ძე თოიძე ა. წ. 24 თებერვლიდან.

31 მარტი 1920 წ. № 104.

ინიშნება: სამინისტროს სამეჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანამდებობაზე კიმოთე ტროფიმეს ძე კორნევი ამა წლის 29 მარტიდან.

24 მარტი 1920 წ. № 105.

ევალება: „ოტრადნოეს“ სახელმწიფო მამულის მოურავის თანამდებობის აღსრულება გაგრის კლიმატიურ სადგურის სამეურნეო ნაწილის გამგეს ვარლამ ირაკლისძე კალანდაძეს ა. წ. მარტის 24-დან.

24 მარტი 1920 წ. № 106.

ინიშნებიან: სამინისტროს მთავარ ბუხალტერიის ინსტრუქტორათ ვ. ი. ჰავლიჩენკო ა. წ. 20 მარტიდან. მე-3-მე ხარისხის ბუხჰალტერი პ. ნ. ხოდკოვი მე-2-რე ხარისხის ბუხჰალტერად ა. წ. 15 მარტიდან.

25 მარტი 1920 წ. № 107.

ინიშნება: ტფილისის ბოტანიკურ ბაღის კანცელარიის საქმის მწარმოებელი მიხეილ ტიმოფეევი ტფილისის ბოტანიკურ ბაღის მეთვალყურედ ა. წ. 1-აპრილიდან.

27 მარტი 1920 წ. № 108.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ნ. ი. თუშმანიშვილი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწე.

29 თებერვალი 1920 წ. № 109.

განთავისუფლებულია: სამსახურიდან აგრარულ რეფორმათა განყოფილების გამგის თანაშემწე ნ. საკალოვსკი 23 თებერვლიდან 1920 წ.

29 მარტი 1920 წ. № 110.

გადაირიცხა: ქუთაისის საცდელ მინდორიდან სეზონის პრაქტიკანტად დანიშნული ვ. ჭიჭინაძე წლიურ პრაქტიკანტად იმავე საცდელ მინდორზე დატოვებით ა. წ. მარტის 15-დან.

30 მარტი 1920 წ. № 111.

დანიშნა: კ. ს. კვირიკაძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლათ.

15 თებერვალი, 1920 წ., № 112.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან. სასოფლო მეურნეობის განყოფილების სახელმწიფო მამულების სექციის გამგე ვლადიმერ გრიგორის ძე სანაძე ა. წ. 29 იანვრიდან თანახმად კანონთა კრებულის მე-III კომ. 789 მუხ. მე-2 ნაწილისა.

30 მარტი, 1920 წ. № 113.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან საიჯარო განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწე ნიკოლოზ გრიგორის ძე მჟედლოვი 1 აპრილიდან, 1920 წ. სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემით.

30 მარტი, 1920 წ., № 114.

ინიშნება: მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწეთ იოსებ კონსტანტინეს ძე აბაშიძე 1 აპრილიდან 1920 წ.

31 მარტი 1920 წ. № 115.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანამდებობაზე პეტრე ვასილის ძე მოსკეჩევი 15 მარტიდან ამა წლისა.

31 მარტი 1920 წ. № 116

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან შორაპნის მაზრის მე-2-რე უბნის სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გამგე გიორგი წერეთელი პირველ აპრილიდან 1920 წ. შტატების შემოკლების გამო სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემით.

მიწათ-მოქმედების მინისტრი

ნ. გ. ხომერიკი.

—

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი

1920 წ. თებერვლის 23. № 11.

გამწესებულნი არიან: ყოფილი მოხელე კლემენტი ყურუა ახლად მეექვსე ხარისხის მოხელეთ დუშეთის კანტორაში. ყოფილი ფოსტალიონები: ვასილ ტაგანაშვილი იგივე ლომსაძე და ვლადიმერ ქიშმარია ახლად ფოსტალიონებათ 720 მან. ძირითადი ჯამაგირით წელიწადში და სიძვირის გამო პირველ კატეგორიის მიმატებით ტაგანაშვილი 25 თებერვლიდან, ყურუა და ქიშმარია 1 მარტიდან 1920 წლისა—ტაგანაშვილი ხაშურში და ქიშმარია სოხუმში.

გადაყვანილნი არიან: სოხუმის ფოსტალიონი ანდრანიკე ბალავაძე და მოხელეები: მეხუთე ხარ. მიხეილ აბულაძე, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის მეხუთე ხარ. ნინო გელიტაშვილი, ტფილისის მესამე განყოფილების მეექვსე ხარის. ლევან კობაიძე, იმავე წოდებებით: თანახმად თხოვნებისა: ბალავაძე ტფილისის ფოსტაში, აბულაძე და კობაიძე ცენტრალურ ტელეგრაფში, გელიტაშვილი მესამე სამოქალაქო განყოფილებაში. ბალავაძე 1 მარტიდან, აბულაძე 25 თებერვლიდან, კობაიძე და გელიტაშვილი 23 თებერვლიდან 1920 წლისა.

დათხოვნილია: ბრძანებით 1919 წლის 15 მაისიდან № 25 ზედამხედველი დაბალი ჯამაგირისა ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა მელქონ მელიქ-მელქონოვი 1919 წლის 10 იანვრიდან კი არა, თერთმეტ მაისიდან 1919 წლისა.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

—

მთავარ საბაჟოსი

8 მარტი, 1920 წ., № 8.

ჩამოყენებულია ფოთის საბაჟოში: ბოგდანოვკის საბაჟოს გამგის თანაშემწე ს. მესხი ბუჰღალტრის უმცროს თანაშემწედ სამსახურში დაუდევრობის გამო ამა წლის 24 თებერვლიდან.

დათხოვნილნი არიან სამსახურიდან: ფოთის საბაჟოს ბუჰღალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი, ნატანების საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად გაგზავნილი გ. ღოღობერიძე და ნატანების საბაჟოს ბუჰღალტრის თანამდებობის აღმასრულებელი ალ. ხელიძე სამსახურში დაუდევრობის გამო—ორივე ამა წლის 24 თებერვლიდან.

მთავარ საბაჟოს გამგის მაგიერ **ბ. მიქაძე.**

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

14 თებერვალი, 1920 წ., № 33.

დაინიშნა: საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის მდივნის მოვალეობის აღმასრულებლად ილიკო გრიგორის ძე სავიცკი ამა წლის 20 იანვრიდან.

16 თებერვალი, 1920 წ., № 34.

გამოირიცხულ იქნეს: სამინისტროს მოსამსახურეთა სიიდან ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის სამრეწველო მცირე განყოფილების გამგე ინჟენერ ქიმიკოსი ნიკოლოზ ივანეს ძე ბრაგინსკი სამთო-სამართველოს ლაბორატორიის გამგეთ დანიშვნის გამო ამა წლის პირველ იანვრიდან.

14 თებერვალი, 1920 წ., № 35.

დაინიშნა: სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორად რომან მიხეილის ძე გეორგაძე ამა წლის 12 თებერვლიდან.

18 თებერვალი, 1920 წ., № 36.

გამოირიცხულ იქმნეს: სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის მოხელეთა სიისგან კონტროლიორი ვასილი დიმიტრის ძე ჩახნაშვილი სახელმწიფო კონტროლის რევიზორის თანაშემწეთ დანიშვნის გამო ამა წლის 12 თებერვლიდან.

16 თებერვალი, 1920 წ., № 37.

დაინიშნა: საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის ბუჰღალტრად ლუკა ივანეს ძე ბაქრაძე ამა წლის 12 თებერვლიდან.

21 თებერვალი, 1920 წ., № 38.

დათხოვნილ იქმნას: სრულიად სამსახურიდან სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორი ლავრენტი ალექსანდრეს ძე ჩახალაშვილი ამა წლის 15 თებერვლიდან.

21 თებერვალი, 1920 წ., № 39.

დაინიშნა: სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორად დავით ვლადიმერის ძე მაჭავარიანი ამა წლის 20 თებერვლიდან.

21 თებერვალი, 1920 წ., № 40.

დაინიშნა: სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორად დიდიმ ჭუმბურიძე ამა წლის 20 თებერვლიდან.

24 თებერვალი, 1920 წ., № 42.

დაინიშნა: სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის ბონების მთვლელად ოლღა იოსების ასული კელეპტარაშვილი ამა წლის 20 თებერვლიდან.

2 თებერვალი, 1920 წ., № 43.

დაინიშნა: სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორად საულ ივანეს ძე ახვლედიანი ამა წლის 1 მარტიდან.

2 თებერვალი, 1920 წ., № 44.

გამოირიცხულ იქმნას: სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის მოსამსახურეთა სიიდან კონტროლიორი ზაალ რაფაელის ძე ჩიხლაძე სახელმწიფო კონტროლში რევიზორის თანაშემწედ დანიშვნის გამო ამა წლის 1 მარტიდან.

2 მარტი, 1920 წ., № 45.

დაინიშნა: სოხუმის ოლქის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ იმავე ოლქის კანცელარიის საქმის მწარმოებელი ივანე ჯაინოზის ძე ვანიძე და ქუთაისის მაზრის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ სენაკის მაზრის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე აგოფანე რომანოზის ძე ღუმბერიძე ამა წლის 21 თებერვლიდან.

ფინანსთა მინისტრის ამხ. **ხ. ავალიანი.**

—

გზათა დეპარტამენტისა.

31 მარტი, 1920 წ., № 35.

მტკიცდება: თანახმად კახეთის რკინის გზის გამგეობის წარმოდგენისა № 76, 27 მარტის თარიღით კახეთის რკინის გზის სამექანიკო ნაწილის უფროსის თანამდებობაზე ინჟენერი ვასილ ალექსანდრეს ძე მაისურაძე ა. წ. 27 მარტიდან.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი

ჭიჭინაძე.

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმ. სამინისტროში

განკარგულება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ მომარაგების სამინისტროს მიერ დამზადებულია ახმეტის რაიონში ოთხი ვაგონი სიმინდი და ერთი ვაგონი ხორბალი რაჭის ერობის საჭიროებისათვის, რომლის გადატანის ნებას არ იძლევა ადგილობრივი ერობის გამგეობა.

სამინისტრომ მოახდინა ჯეროვანი განკარგულება, რათა აღნიშნული სურსათი გადაგზავნილ იქმნას დანიშნულებისამებრ.

საზოგადო კრება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო თერგის ოლქის ლტოლვილების წარმომადგენელს მოიწვიოს სახალხო სახლის შენობაში ლტოლვილების საზოგადო კრება.

დეპეშა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ბაქოდან ბაქოს გენერალ გუბერნატორისაგან:

„საქართველოს რესპუბლიკის სოფელ „ნეიზვოლილის“ მცხოვრებლებმა 25 იანვარს გადენეს ახალშენი „გიზგალასადან“ სოფელ შიხლის მცხოვრებთა კუთვნილი საქონელი, რიცხვით 70 სული. ვინაიდან შიხლის მცხოვრებნი ამხედრებულნი არიან და მოსალოდნელია შეტაკება, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, გთხოვთ ჯეროვან განკარგულებას, რათა დაუბრუნდეს სოფელ შიხლის მცხოვრებთ აღნიშნული საქონელი“. მიღებულია სათანადო ზომები.

შუამდგომლობა.

სოფელ ლეძაძამის (სენაკის მაზრა) თემის გამგეობამ აუწყა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ სენაკის სამაზრო ერობის მესამე ყრილობამ გაანაწილა ერთდროული სასანიტარო გადასახადი—3.700,000 მანეთი მაზრის მცხოვრებთა შორის, კომლზედ 150 მან.

როგორც აღნიშნული თემის გამგეობა აცხადებს ლეძაძის თემში არის სამას ორმოცდაცხრა კომლი, ხოლო სამაზრო ერობას კი შეუტანია გადამხდელთა სიაში ლეძაძამის თემიდან 500 კომლი. ამის და მიხედვით ხსენებულ თემზე გაწერილია ზედმეტი 22,650 მანეთი.

ლეძაძამის თემის გამგეობა თხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება გასწორებულ იქმნას ეს შეცდომა და ამასთან არ გადახდეს მათ 50% ჯარიმა, ვინაიდან თემს არა აქვს საშუალება ეს გადასახადი აკრიფოს, სანამ ეს კითხვა არ გამოირკვევა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საერობო განყოფილებამ სასწრაფოთ მიმართა სენაკის სამაზრო ერობის გამგეობას, მოაწოდოს მას საჭირო ცნობები ამ საკითხის შესახებ.

შავ-ქვაზე საფუთო გადასახადი.

ჭიათურის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა 31 ივლისის 1919 წლის დეკრეტი საფუთო გადასახადის შესახებ გავრცელებულ იქმნას შავ-ქვაზედაც და გაუქმებულ იქმნას 1919 წლის 4 აგვისტოს დეკრეტის შენიშვნა, რომელის თანახმად: „საერთო დებულება საფუთო გადასახადისა გავრცელებულ არ უნდა იქმნას ქალაქ ჭიათურასა და ფოთში შეტანილ და გატანილ შავ-ქვაზე“.

თუ ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილა მთავრობამ, ჭიათურის ქალაქის გამგეობა თხოულობს მიეცეს მას 5 მილიონი მანეთიანი უსარგებლო სესხი, რომელიც დაიხურება საფუთო გადასახადიდან.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის მხრით სათანადო შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა დადასტურებულ იქმნას ჭიათურის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა.

გაგრის კლიმატიური სადგური.

გაგრის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მთავრობამ დაუთმოს ქალაქს სახელმწიფო მიწა საექსპლოატაციოთ და აგრეთვე გადაეცეს ქალაქს კლიმატიური სადგურის ის ფუნქციები, რასაც წმინდა მუნიციპალური ხასიათი აქვს.

გაგრის კლიმატიური სადგურის მმართველობა კი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა გაუქმებულ იქმნას ქალაქის თვითმართველობა და ძველი და ახალი გაგრა დაემორჩილოს საკურორტო მმართველობას.

ეს საკითხი მოკლე ხანში გაირჩევა საუწყებათაშორისო კომისიაში და შემდეგ მთავრობაში.

მიწათ-მოქმედების სამინისტროსაგან.

მომავალში სასურსათო კრიზისის შესამცირებლათ მთავრობამ მიმდინარე წლის 6 იანვრის სხდომაზე დაადგინა გამოეცა განკარგულება, რომლითაც სავალდებულო იყო ყველა სახნავ-სათესი მიწა, თუ მას სხვა აუცილებელი დანიშნულება არ ჰქონოდა (სათიბი და სხვ.) დაემუშავებიათ თითონ პატრონებს ან იჯარით გაეცათ ისეთ პირებზე, რომელთაც მისი დამუშავება შეეძლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ერობებს და მთავრობის სათანადო აგენტებს ევალებოდათ დაუთესავი მიწები, ვისიც უნდა ყოფილიყო ის, სამეათედოთ გაეცათ მსურველებზე. ერობები ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას ენერგიულათ შეუდგენენ და ჩვენ ცნობა გვაქვს, რომ ნაყოფიერადაც მიმდინარეობს ეს მუშაობა.

სავალდებულო დადგენილება საადგილ-მამულო ურთიერთობის სფეროში იმდენათ იჭრება, რამდენათაც ეს საჭიროა იმისთვის, რომ შინ, რესპუბლიკაში მივიღოთ მაქსიმუმი სურსათისა. ამაზე შორს წასვლა ამ დარგში არც საჭიროა და არც სასურველი. მაგრამ ჩვენდამი მოღწეული ცნობებით რამოდენიმე ადგილას შემდგარა ე. წ. „ყანის მუშათა“ კავშირი, რომლებსაც მიზნათ დაუსახავთ სრულიად უკანონო და მავნებელი მოქმედება. ასე მაგალითად, ისინი აიძულებენ მიწის მესაკუთრეთ უსათუოდ კავშირის წევრებს მისცენ იჯარით თავისი მიწა. არის ისეთი შემთხვევები, როცა ეს კავშირები არ ანებებენ მესაკუთრეს თავისი მიწის თითონვე დამუშავებას, ბოიკოტს უცხადებენ, მიმართავენ მუქარას და სხვა რეპრესიულ ზომებს. ასეთი მოქმედება ყოვლად დაუშვებლათ უნდა ჩაითვალოს. ეს უკანონო და თან მავნებელიც არის. ამის შედეგი იქნება სოფელში არევ-დარევისა და ანარქიის გაჩაღება, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. რესპუბლიკის კანონით ყველა მოქალაქეს უფლება აქვს ნორმის ფარგლებში ისე მოიხმაროს თავისი საკუთრება, როგორც მას სურს. მთავრობის სავალდებულო დადგენილება უკრძალავს მას მხოლოდ არ გააცდინოს მიწა, მარა ამის მოგვარებაც დაკისრებული აქვს ადგილობრივ თვითმართველობებს და მთავრობის სათანადო აგენტებს. დანარჩენ პირთა და დაწესებულებათა ჩარევა საადგილ-მამულო ურთიერთობაში დაუშვებელია და კანონით დაისჯება.

ვაცხადებ რა ამას, მივაქცევ საერობო თვითმმართველობათა და მთავრობის სათანადო აგენტების ყურადღებას ზემოაღნიშნულ არასასურველ მოვლენისადმი, რათა მიღებულ იქნას ზომები ძალადობისა და უკანონო მოქმედების წინააღმდეგ.

მიწათ-მოქმედების მინისტრი

ნ. ხომერიკი.

ყარაბახის ამგეგი და ტფილისის პროლეტარიატი.

ქ. ტფილისის პროფესიონალურ კავშირის საბჭოს შეერთებულ საგანგებო სხდომაზე, რომელსაც დაესწრენ ტფილისის ყველა ქარხნების და მუშათა წარმომადგენელთა კომიტეტები, მოისმინა რა საბჭომ საფარიანის განცხადება სომეხ-თათართა შეტაკების შესახებ ყარაბახ-ზანგეზურის რაიონში გამოსთქვამს თავის პროტესტს მომუშავეთა ხალხის ერთი-მეორეზე წასვლის წინააღმდეგ.

„ავი მამოძრავებელ ძალების და ფარულ გმირების ინტერესთა დაცვის კარნახით გადამტერებული არიან ორი მეზობელი ხალხი. გაშმაგებულ ბრძოლაში იღვრება უდანაშაულო ხალხის სისხლი და ცრემლები: მიწიდან იღგვეგებიან მთელი სოფლები და ქალაქები, რომელთა მიზანია ფარული ინტრიგებით დაავირგვინონ თავიანთი გულის ზრახვანი.

ტფილისის პროლეტარიატის სახელით მივმართავთ აზერბეიჯანის და სომხეთის პროლეტარიატს, როგორც დაინტერესებულ პირთ დაუყოვნებლივ შესწყვიტონ მოძმე ხალხთა ხოცვა-ჟლეტა და მოითხოვონ თავიანთ მთავრობებისაგან ამ საქმის ჩქარი ლიკვიდაცია.

ჩვენის მხრით ჩვენ მივმართავთ ჩვენ მთავრობას, რომ მან ტრადიციულად შეასრულოს შემარიგებლის როლი და მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა გაანთავისუფლოს ამიერ-კავკასიის ხალხები ფიზიკურ განადგურებიდან.

სხდომის თავმჯდომარე **ა. ხელაძე.**

დეპეშები

(საქ. დეპ. საგენტოსაგან)

მოსკოვ-, აპრ. 5. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. პიტალოვისა და რეჟეცის მიმართულებით მტრის შემომტევ მცირე რაზმებთან ბრძოლა სწარმოებს. დრისის მიმართულებით მტრის შემომტევ მცირე რაზმებთან ბრძოლა სწარმოებს. დრისის მიმართულებით მზვერავთა გაძლიერებული მოქმედებაა; ტყვეთ წამოვიყვანეთ 10 პოლონელი ლეგიონერი და ხელთ ვიგდეთ 1 ტყვიის-მფქვეველი. მოზირის რაიონში გორვალის დასავლეთით, მდ. ხვედის რაიონში არტილერიის

ძლიერი ცეცხლია. ოვრუჩ-კოროსტენის რაიონში ჩვენი ნაწილები ოვრუჩის დასავლეთით 25 ვერსზე ბრძოლას აწარმოებს. სხვა რაიონებში მზვერავთა მოქმედებაა.

სამხრეთის ფრონტი. ოდესის ნავთსადგურში მოვიდა საფრანგეთის სატრანსპორტო გემი და ნაპირზე გადმოსხა 750 რუსი სამხედრო ტყვე.

კავკასიის ფრონტი. ბატალპაშინსკში მოვიდნენ მთიელთა წარმომადგენელნი საბჭოთა მთავრობის ცნობის განცხადებით და ითხოვეს დახმარება დენიკინის დარჩენილ ჯარების განასაიარაღებლად.

თურქესტანის ფრონტი. კრასნოვოდსკში კუნძულ ჩელეკენის მხრიდან მოვიდა და დაგვემორჩილა მტრის ორი კრეისერი „ავსტრალია“ და „პოსილნი“ და კატერი „ჩასოვოი“.

აღმოსავლეთის ფრონტი. სერგიოპოლის რაიონში ჩვენი ჯარები დეპსკინსკის ჩრდილოეთით 30 ვერსზე შეტევას აწარმოებენ. გრძელდება ჩვენი შეტევა კარა-დაბაზე, რომელიც ჩინეთის საზღვარზე იმყოფება.

ინგლისური პრესა.

(ბასრუდან)

რომიდან იუწყებიან: ტურინის ექსპრესი, რომელშიც სპარსეთის შახი თავის მახლობლებით მოდიოდა, გენუასთან დაეჯახა საბარგო მატარებელს. მოკვდა 3 კაცს, დამახინჯებულია 15, შახის მახლობლებთაგან არავინ არ დაშავებულა.

ინდოეთში 2500 კაცი მოითხოვს ინგლისში წასვლას. აუცილებელია, რომ ინდოეთში მისვლა აღეკრძალოს ყველას, სანამ ტრანსპორტი არ მოწესრიგდება.

საფრანგეთის შტაბი ოფიციალურათ იუწყება, რომ გერმანიის რეგულიარული ჯარი არ არის საპატივებელი.

გომრულის შესახებ კამათის დროს ლოიდ-ჯორჯმა ხაზგასმით აღნიშნა: სიძნელე გამოწვეულია იმის გამო, რომ ყველა წინადადებები, რომლებიც მისაღებია ინგლისის სხვა და სხვა პარტიისათვის, ირლანდიის არც ერთი პარტიისათვის მისაღები არ არის. კამათმა ცხადათ დაამტკიცა, რომ მთავრობის გეგმა დამარცხდა. ეჭვს გარეშეა, რომ ირლანდიის უმეტესობას სურს დამოუკიდებლობა და ირლანდიის რესპუბლიკის დაარსება. ლოიდ ჯორჯი კუთხულობს არის, თუ არა ერთი პარტია მაინც პალატაში, რომელიც ირლანდელების მოთხოვნილებას დაიცავს უსარგებლოა თვითგამარჯვებაზე ლაპარაკი. ამის მხარის დამჭერნი უნდა იყვენ თანახმანი ირლანდიის რესპუბლიკის დაარსებისაო.

ამერიკული ცნობები.

(დასაწყისი არ მიგვიღია) შეუჩერებლივ ისმის ფრონტიდან ზარბაზნის ხმა. ყოველი მხრით მთავრობის ჯარი წინ მიიწევს. წითელი ჯარი რიცხვით 5000 ნაკლები, სცდილობს წინააღმდეგობის გაწევას, და საკავებ პოზიციებს ქალაქის ჩრდილოეთით $2^1/_2$ მილზე, მაგრამ არ შეიძლება მოველოდეთ, რომ მან შესძლოს პოზიციების შენარჩუნება. წითლები დასუსტდნენ, დაზარალდნენ, მრავალი გარბის. მთავრობის აეროპლანები ქალაქში ეშვება და ავრცელებს ფურცლებს მოწოდებით... (დამახინჯებულია) მთავრობის ლოიალობას. ფიქრობენ, რომ მთავრობის ჯარი მზის ამოსვლამდე ესენს დაიჭერს.

ქართული ენის სახელმძღვანელოები

1) **„ქრესტომატია“**, საშუალო სასწავლებლის I კლ. კურსი, შედგენილი ი. ოცხელის მიერ, გამოცემა მეორე, ფასი 7 მან. და 50 კაპ., 1919 წ. ქუთაისი. 2) **„ქართული ქრესტომატია“**, საშ. სასწ. II კლ. კურსი შედგენილი ოცხელის, ნიკოლაიშვილის და მამფორიას მიერ, მეორე გამოცემა, ფასი 15 მ., 1919 წ., ქუთაისი; 3) **„ქართული ქრესტომატია“**, ამავე ავტორისა, მე-III კლ. კურსი, ფასი 15 მან., 1918 წ., ქუთაისი; 4) **„ქართული ქრესტომატია“**, ამავე ავტორისა, მე-IV კლ. კურსი, ფასი 20 მან., 1918 წ., ქუთაისი. ოთხივე წიგნი გამოცემულია „განათლების“ მიერ.

ჩვენი სკოლის ნაციონალიზაციას დიდის ენერგიით შევუდექით. სიხარულთან ერთად დიდ შიშსაც ვგრძნობდით, ყველას გვაფიქრებდა სახელმძღვანელოების საქმე, არავის არ ეგონა, თუ ჩვენი სიხარული ნაადრევი არ იქნებოდა და შესაფერ სახელმძღვანელოების არ ქონება სკოლის გაეროვნების საქმეს არ შეაფერხებდა.

მაგრამ სრულიად მოულოდნელად ამ განსაცდელიდან გამარჯვებული გამოვედით. ორი წლის ისტორია ამას აშკარად ღაღადებს. ჩვენმა შკოლამ დასძლია ყოველივე სიძნელე და ამ საშინელ პირობებში იგი გამარჯვეული გამოვიდა. იმდენად მომწიფებული გამოდგა იდეურად გაეროვნების საქმე, რომ ქალალდის ზღაპრულმა სიძვირემ ოდნავათაც ვერ შეაფერხა იგი და ჩვენი წიგნის მაღაზიები დღეს სახელმძღვანელოებით არის ავსილი. ვეჭვობ რომ იმდენი წიგნი, რამდენიც ამ ორ-სამ წელიწადში დაიბეჭდა ქართულ ენაზე, მთელ მე-XIX საუკუნეში გამოსულიყოს. ამ მხრივ თავი ისახელა განსაკუთრებით ქუთაისმა, რომელიც თითქმის მთელ საქართველოს აწვდის სხვა და სხვა საგნების სახელმძღვანელო წიგნებს.

და მერე იცით ვინ იყო ამ საქმის მებაირახტრე და იდეური წინამძღოლი? ქართველი მასწავლებელი, მუდამ მშრომელი და მუდამ შეუშინველი მოღვაწე, მუდამ ოფლის მღვრელი და მუდამ დაუფასებელი მუშაკი, რომლის მადლიანი სული ფარვნასავით თავს ევლება ჩვენი ქვეყნის მომავალ იმედს და ბუჯს—მოზარდ თაობას.

ქართველი ერის დამოუკიდებლობას მაშინ ექნება მტკიცე საფუძველი, როცა იგი გამაგრებული იქნება კულტურულად. ამ სფეროში პირველი ადგილი შკოლას და მასწავლებელს ეკუთვნის. თუ გერმანელებს უთქვამთ „ფრანგები 1872 წ. პრუსიის მასწავლებელმა დაამარცხაო“, დღეს ჩვენც შეგვიძლიათ ვსთქვათ: „საქართველოს რესპუბლიკის გასამაგრებლად პირველ ყოვლისა მასწავლებელი გამოვიდაო“.

ჩვენი მასწავლებლების ამ ღვაწლს იმედია შესაფერად დააფასებს ქართველი ერის მომავალი ისტორიკოსი, ჩვენ კი გადავალთ ამ წერილის პირდაპირ საგანზე.

ამ ჟამად ქართულ ენაზე უკვე დასახელებულ გარდა კიდევ არის რამდენიმე. მაგალ., ივ. გომელაურის „ქართული მწერლები“, სამი წიგნი და ს. გორგაძის „ჩვენი ახალი მწერლობა“, ორი წიგნი. ჩვენ მომავალში გვინდა ყველა ეს სახელმძღვანელოები განვიხილოთ. ეხლა კი შევეხებით მარტო „ქართულ ქრესტომატიებს“, მაგრამ პირველად საჭიროდ მიგვაჩნია გაკვრით შევეხოთ საერთოდ სახელმძღვანელოების მიზნებს და სხვ.

რაგვარი წიგნი უნდა ვაკითხოთ ბავშვს კითხვის შესწავლის შემდეგ? ეგ საკითხი სერიოზულად ითვლება თანამედროვე პედაგოგიკაში და ერთი რაიმე გადაჭრილი აზრი ჯერაც არ დამყარებულა. ზოგიერთების აზრით ამგვარ სახელმძღვანელოს უნდა ჰქონდეს უმეტესად ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ხასიათი, ბავშვი უნდა ეცნობოდეს ღმერთს, ქრისტიანულ ზნეობრივ მოძღვრებას და სხვა; მეორეთა აზრით ქრესტომატიაში უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ რჩეული ბელეტრისტული ნაწერები (ტულუპოვისა და შესტაკოვის სახელმძღვანელოები, აგრეთვე ტოლსტოისა). მესამენი, როგორც მაგ. ვახტეროვი, უპირატესობას აძლევენ ისეთ სახელმძღვანელოს, რომელშიაც ჭარბობს რეალური შინაარსის ნაწერები. მეორენი კიდევ იმას ამბობენ, რომ ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნში ყოველგვარი მასალა უნდა იყოს მოთავსებული: ზნეობრივ-სარწმუნოებრივიც, ბელეტრისტულიც და რეალურიც. მეხუთე მიმართულება, რომლის მეთაურიც არის მოსკოველი პედაგოგი ცეზარ ბალტალონი, სრულად უარჰყოფს ქრესტომატიას და პირდაპირ მავნებლად სთვლის მას.

ბალტალონის აზრით თანამედროვე სახელმძღვანელოები ერთობ ხელოვნურად არის შეხანხლული: მოყვანილია შიგ დიდ თხზულებათა ნაწყვეტები და მასალაც ისეა დალაგებული, რომ სრულებით არ არის სახეში მიღებული ბავშვის სულიერი მიდრეკილება და ინტერესი. ქრესტომატიის ავტორებს გონიათ, რომ თუ პატარა სტატიას შეიტანენ წიგნში, ამით ასრულებენ დიდაქტიკის მთავარ წესს—უბრალოდან რთულისკენ და ის კი არა აქვთ სახეში მიღებული, თუ რა აინტერესებს თითონ ბავშვს. შეიძლება სტატია მართლაც უბრალო იყოს, მაგრამ სრულებით არ აინტერესებდეს ბავშვს, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ გრძელმა და რთულმა სტატიამ ერთობ გაიტაცოს იგი. მაშასადამე აქ თავი და თავი ყოფილა ბავშვის სული და გული, მისი პსიქოლოგია და ინტერესი და არა სხვა რაიმე. ბალტალონი სრულიად მართალია იმაში, რომ სახელმძღვანელოში არ ვარგა ნაწყვეტების მოთავსება, ვინაიდან ბავშვი მთლიან შთაბეჭდილებას ვერ ღებულობს და ვერ გამოაქვს დედა-აზრი, მაგრამ ბევრში მისი აზრი მიუღებელია. ბალტალონი იქამდის მიიყვანა ამ აზრმა, რომ მან აღიარა სრულიად განედევნათ შკოლებიდან ტოლსტოი, ჩეხოვი, გოგოლი, ტურგენევი და სხვ. ეს იმიტომ, რომ მათი ნაწერები გძელია და ბავშვებისთვის გაუგებარი იქნებაო. მისი აზრით ბავშვებსუნდა ეკითხათ ისეთ მწერალთა ნაწერები, რომელთაც სპეციალურად უწერიათ ბავშვებისთვის. ეგ აზრი არ არის მისაღები—კლასიკების შკოლებიდან განდევნა არა პედაგოგიურია. მეორე მხრივ ბოლტალნის აზრი რომ გავიზიაროთ, ბავშვები უნდა ვავარჯიშოთ და ვნავითაროთ შედარებით მდარე მწერლების ნაწერებით, ვინაიდან საბავშვო ლიტერატურას არა ყავს თავის ტოლსტოები და ტურგენევები. ბალტალონი ამავე დროს სრულიად უარყოფს სახელმძღვანელოს და გვირჩევს პირდაპირ ცალ-ცალკე გამოცემული მოთხრობები ვიკითხოთ კლასებში. პრაქტიკულად ესეც განუხორციელებელია.

მაშასადამე ქრესტომატია აუცილებელ საჭიროებას შეადგენს შკოლისთვის, მაგრამ როგორი უნდა იყოს იგი, როგორი პრინციპების მიხედვით უნდა იყოს შედგენილი?

(შემდეგი იქნება)

სხვა და სხვა

✦ შრომის კომისრის განკარგულებით შაბათს, აპრილის 10-ს და ორშაბათს აპრილის 12-ს ქალაქის პურის საცხობებში ყველგან გამოცხვება პური, რათა ქალაქის მუშები და მოსამსახურენი უპუროთ არ დარჩნენ.

✦ დამფუძნებელ კრების სამხედრო კომისიის 31 მარტის სხდომაზე არჩეული იყო კომისიის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარედ აირჩიეს აკ. ჩხენკელი, თავმჯდომარის ამხანაგად გრ. გიორგაძე და სვ. მდივანი. მდივნად—ზ. გურული.

✦ 12 მარტს, აღდგომის მეორე დღეს, სალალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონის კულტურულ-განმანათლებელ სექციის სასარგებლოთ სახელმწიფო თეატრში დაიდგმება წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ დრამატიულ სტუდიის არტისტები. საკონცერტო განყოფილებაში კი დივიზიონის სამხედრო ორკესტრი დაუკრავს კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის მიერ გადაღებულს ძველ ქართულ სიმფონიას.

✦ მაჩხაანიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: ამა წლის აპრილს ოთხსა ქვემო ქიზიყის ყრილობამ, რომელიც შესდგა ქვემო მაჩხაანში მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ლომთათიძისა და იმავე კრების წევრის ახმეტელაშვილისა მომენტის შესახებ მრავალრიცხოვანი ყრილობა იწონებს რა დამფუძნებელ კრების და მის მთავრობის შინაური და გარეშე პოლიტიკას ყრილობა აღუთქვამს მთავრობას, რომ ქიზიყი ყოველთვის მასთან იქნება დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობის და რევოლიუციით მოპოვებულ ძვირფას უფლებებს, დაიცავს სიმშვიდეს და სიწყნარეს თავის კუთხეში და ამასთან ერთათ სასტიკათ შეებრძოლება ყოველგვარ ანარქიულ გამოსვლებს, საიდანაც და რა სახითაც კი იქნება. თავმჯდომარე ნ. კობიაშვილი.

✦ სახელმწიფო გამოცდების კომისია ამით აცხადებს, რომ სახალხო სამინისტროს დადგენილების თანახმად მიმდინარე 1920 წ. მაისის შუა რიცხვებში სახელმწიფო გამოცდები დაიწყება. მსურველთ უნდა 10 მაისამდე სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში კომისიის თავმჯდომარის სახელობაზე თხოვნა შეიტანონ (სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის საქმის მწარმოებელთან დილის 9—2 ს.) თხოვნას უნდა თანდართული ჰქონდეს ა) მოწმობა რომელსამე უნივერსიტეტში 8 სემესტრის მოსმენის შესახებ, ბ) მოწმობა უნივერსიტეტში შესწავლილ საგნებში გამოცდების ჩაბარების შესახებ, და გ) 250 მანეთი, ვისაც 8 სემესტრი გავლილი არა აქვს სახელმწიფო გამოცდების დაჭერა კი სურს, იმან თავის საქმის გამოსარკვევად უნდა ან სახელმწიფო გამოცდების კომისიის თავმჯდომარეს პროფ. ივ. ჯავახიშვილს, ან კომისიის მდივანს გ. ნათაძეს მიჰმართოს.

✦ ახალქალაქის (გორის მაზრა) ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში გაიხსნა ტელეგრაფის მოქმედება. კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს გორის კანტორასთან.

✦ მთავრობამ ნება დართო თერგის ლტოლვილებს მოიწვიოს საზოგადო კრება სახალხო სახლის შენობაში.

წერილი რედ. მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში ანგარიში ფოთის ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოთა მიერ გამართულ საღამოსი გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ 6 მარტს 1920 წ.

შემოსავალი: 1. ბილეთების გაყიდვით 28022 მ., 2. ვახშამი, აუქციონი, კიოსკი, ყავა-ჩაი 77291 მ., ჯამი 105.313 მ.

გასავალი: 1. მემუსიკეებს, ორკესტრს, სცენის მომწყობთ 7160 მ. 2. ანონსებისა და აფიშების დაბეჭდვა და გაკვრა 1760 მ. 3. ვახშამისთვის საჭირო მასალისთვის მის გადმოსაზიდათ და მოსაწყობათ 24704 მ. 4. დარბაზის გასამშვენებლათ 1730 მ. 5. ჩაისა, ყავისა, დაბეჭდვისა, და სხვა წვრილმანი ხარჯებისთვის 3521 მ. სულ 37875 მ., წმინდა შემოსავალი 67438 მ.

ამას გარდა შემოვიდა შემოწირულება შაქრით, ლობიოთი, ბრინჯით და პურის ფქვილით, რომელიც რადგან შედარებით მცირეა, ან ფულათ და ან ისე გაეგზავნება მთავარ კომიტეტს.

უღრმესი მადლობა პედაგოგიურ საბჭოთა სახელით საღამოს დიასახლისებს ქ-ნ პ. დგებუაძისა და ქ-ნ მ. ლორთქიფანიძისას, აგრეთვე პატივცემულ ქ-ნ ბ. ერისთავისას მათ ენერგიულ მუშაობისათვის.

უღრმეს მადლობას ვუძღვნი აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც განსაკუთრებულის გულმოდგინეობით ხელს უწყობდენ საღამოს წარმატებას: ფოთის დრამატიულ წრეს, რომელმაც უფასოთ მიიღო საღამოზე მონაწილეობა, რკინის გზის რაიონულ გამგეობას, რომელმაც დაგვითმო „თავისუფლების სახლიდან“ სკამები და თვითონაც შეგვიწყო ხელი, ასევე ფოთის გარნიზონის უფროს ბ-ნ მშველიძეს, ?-ნ აპ. იმნაძეს ქ-ნთ მშველიძისას, ქ-ნ მამალაძისას, პ. იოსელიანისას, ქ-ნ კეფალიდის, დერკოვსკისას, ძიძიგურისას, კოროშინიძისას, ლუკიანოვისას და სხვებს.

საღამოს პასუხისმგებელი გამგე ფოთის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი

მ. პ. კინწურაშვილი.

მილიციაში

—მოორიგებელ სასამართლოს გამომძიებლის მ. ჯიმარჯვიძის დადგენილებით მარტის 31-ს მილიციის მოხელეთა მიერ დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს ვექილის თანაშემწე არზასპი ასატურის-ძე ამბანიუმიანი სხვა და სხვა სიყალბისათვის.

სისხლის სამ. მილიციის უფროსმა ცნობები მიიღო რომ ქ. ტფილისში შემდგარა მთელი ჯგუფი მძარცველებისა ვინმე სურმავას მეთაურობით, რომელთაც განზრახული ჰქონიათ 1-ს ამა წელს ფოთის ქუჩაზე ქურდობა მოეხდინათ. ამ ბოროტ-მოქმედების საზღვრავად მილიციის უფროსის მიერ დასახელებულ ქუჩაზე გაგზავნილი იყო მილიციის უფროსის თანაშემწე თავის აგენტებით ლორთქიფანიძე რომელმაც მძარცველების გამოსვლა შეაჩერა დაინახეს თუ არა მძარცველებმა მილიციის მოხელენი—მათ მაშინვე ასტეხეს სროლა. სროლის დროს დაჭერილ იქმნა ერთი მძარცველთაგანი პავლე იასონაშვილი პონხიძე, რომელსაც არა ერთხელ ბრალი დასდებია ქურდობაში. მეთაური სურმავა კი სროლის დროს სიბნელეში მიიმალა.

—აპრილის 1-ს მეფტიხედინ ალიევს მილიციაში უცნობებია, რომ მიხეილის ქუჩაზე № 97 თავის ბინაზე გაუძარცვავთ იგი და წაუღიათ 63580 მან. ნივთი. მილიციის უფროსის მიღებული ზომები, ალიევის გამქურდავი აღმოაჩინეს. ნივთების წამღები ყოფილა აფთიაქ „შიხინოვის“ მოსამსახურე ფ. კოპილევი, რომელიც თავის ბოროტ-მოქმედებაში გამოტყდა და დაასახელა თვისი ამხანაგიც ვინმე მენგუშევი, რომელიც წასულა ბაქოში და თან წაუღია მოპარული ნივთებიც. მენგუშევის დასაჭერად მიღებულია ზომები. დამნაშავე ფ. კოპილევი შეიპყრეს.

—აპრილის 2-ს საღამოს 5 საათზე სასახლის ქუჩაზე, ქართულ კლუბის პირდაპირ უცნობმა პირმა რუბენ ივანესძე საფაროვს ესროლა რევოლვერი („მაუზერის“ სისტემის) და სასიკვდილოდ დასჭრა. რუბენ საფაროვი მიხეილის საავათმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაში გონება დაკარგული გარდაიცვალა მკვლელი მიიმალა. მიღებულია ზომები მკვლელის შესაპყრობად.

სენატში

1920 წლის აპრილის 8, სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლო სხდომაში განსახილველად დილის 10 საათზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

საქმ. № 9 მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ბართლომე მურზახ ძის ჩაჩიასი, ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე.

ჩაჩიას ბრალდება დანაშაული, გათვალისწინელი 1161 მუხ. სასჯ. დებ.

საქმ. № 45 მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ პეტრე მიხეილის ძის დგებუაძისა ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. დგებუაძეს ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 286 მუხ. სასჯ. დებ.

საქ. № 13 მაგ. 2. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ სინო ლალიაშვილისა ქუთაისის სამომრიგებლო ოლქის ყრილობის განაჩენზე.

საქ. № 24 მაგ. 2. საკასაციო საჩივარი დაზარალებულ კაპიტონ ელიავას დამცველის კერძო ვექილის ოდიშარიასი სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის განაჩენზე. ერმილე თეიმურაზის ძის ცხადიას საქმის შესახებ. ცხადიას ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 1585 მუხ. სასჯ. დებ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ქ. ტფილისის მეოცე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 1913 წ. 15 ნოემბერს გარდაცვალებულ ტფილისის მოქალაქე ვარვარა ტერენტის ასული სახოკიას ქვრივის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება მის გადაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. ძალით. განცხადება ესე ძალაში შედის 1919 წ. 14 ოქტომბრიდან. 1556 1—1

დაკარგულია სასურსათო წიგნაკები № № 27785, 5972, 20460, 26180, 27784 და 11384 გაუქმებულათ ჩაითვალოს. 669 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში შემოიტანა მართა ნიკოლოზის ასულმა ნიკოლოზიშვილისამ თხოვნა თავის ქმრის მიხეილ ესტატეს ძე ნიკოლაშვილზე, რომელზედაც დაიწერა ჯვარი 1912 წელსა, 12 ნოემბ. და ითხოვს განქორწინებას მიხეილ ესტატეს ძე ნიკოლაშვილისაგან მის უკვალოდ დაკარგვის გამო, რომელიც დაიწყო 1915 წელსა, ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით ყველა ვალდებულია აცნობოს სამიტროპოლიტო სასამართლოს მისი მისამართი, ორი თვის განმავლობაში, დღიდან ამ განცადების დაბეჭდვისა. 507 3—1

დაკარგულია პირადობის მოწმობა № 1512 გაცემული ტფ. მილიციის უფრ. სამ. ალექ. ივანეს ძე ბერიშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩითვალოს. 660 3—1

სტუდ. ა. ვასილის ძე ყიფიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პოლიტეხნიკუმიდან მოცემული მოწმობა № 82, შესასვლელი ბილეთი" და ორი წიგნის კვიტანცია. გაუქმებულად ჩაითვლება. 640 3—1

ნიკოლოზ იოსების ძე მერმანიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული წირქვალის თემიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 646 3—1

ლეონტი სიმონის ძე სვანაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საკუთარი სახლის, რომელიც მდებარეობს კადეტის შესახვევი № 14, საბინაო დავთარი. გაუქმებულად ჩაითვალოს. 649 3—1

იონა ვასილის ძე ლაზუტკინი აცხადებს- რომ მან დაჰკარგა მოწაფეობის მოწმობა მიღებული ტფ. პოლიტეხნიკურ სასწავლებლიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 650 3—1

ეკატერინე დიმიტრის ასული დიმიტრიადი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილ. ქალაქის მილიციის სამართველოდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 644 3—1

მე-17 სამომრიგებლო უბნის სასამართლოს ბოქაული გეგელაშვილი აცხადებს, 1920 წლ. 21 აპრილს, დილის ათ საათზე, ქალ. ტფილისში, მეცხრე უბანში, ტურგენევის ქუჩა, № 14, საჯარო ვაჭრობით გაყიდულ იქნება ნიკოლოზ და ტატიანა რომანოვიჩების მოძრავი ქონება, შეფასებული 900 მან. ქონება გაიყიდება ვასილ ხაჩიძის ვალის დასაკმაყოფილებლად 6000 მან. 639 1—1

სერგო ტიგრანის ძე ტარასოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული არმავირის დარაჯთა უფროსისაგან № 748 და საქართველოში წამოსვლის მოწმობა, მიღებული საქართველოს წარმომადგენლისგან არმავირში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 635 3—2

ევგენი მათეს ძე მოწონელიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სოფ. ღარდიის სამმართველოდან № 25, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 627 3—2

დაიკარგა სუმბათ მარქარის ძი ბალდასარიანცის სახლის 1919 წ. დავთარი, რომელიც მდებარეობს მარინის ქუჩაზე № 9. 7 კომისარიატში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 628 3—2

დამიანე მალაქიას ძე ხუხუნაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სოფ. ზემოაკეთის კომისარიატიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 582 3—3

სოფიო ივანეს ასული გოგიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფ. პოლიციის სამმართველოდან № 1482 და ორი ბანკის წიგნაკი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—3 585

სენაკის სამ. ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ დაკარგულია თავისუფლების მოწმობა № 45, გაცემული სენაკის მაზრის სამხედრო კომისიის მიერ ტერენტი დგებუაძის სახელზე. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს. 293 3—3

დაიკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი № 26637 ექიმი ვ. ვ. შენგელიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 583 3—1

მიკირტიჩ აგაფას ძე გასპარიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საგირაო კვიტანცია № 4402 მიღებული ტფილისის კერძო ლომბარდიდან და პასპორტი, მიღებული ტფ. ქალაქის თვითმართველობისაგან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 524 3—3

მოსე ლევანის ძე კვიტაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ტფ. მე-8 უბნის კომისარიატიდან 1919 წ. და საბარგო კვიტანცია № 11635. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 629 3—2

პავლე მაქსიმის ძე ლოპინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1907 წ. № 8255, დამზღვევი საზოგადოების „როსიის" ქალაქი მოძრავი ქონების დაზღვევის შესახებ და ვაჭრობის მოწმობა, მიღებული სავაჭრო სამრეწველო პალატიდან 9 იანვარს 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 632 3—2

ალექსანდრე ტიგრანის ძე ტარასოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული არმავირის დარაჯთა უფროსისგან № 7471 და საქართველოში წამოსვლის მოწმობა, მიცემული საქართველოს წარმომადგენლის მიერ არმავირში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 624 3—2

ვლადიმერ სტეფანეს ძე სელეკკი აცხადებს რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა მიღებული ჩერემისის (ყამ.-პოდ. გუბ) ეკლესიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 641 3—2

დაიკარგა 6 სულის სასურსათო წიგნაკი № 21050 არტემ ოქუაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 630 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 37, ნიკოლოზ ეგოროვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 633 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 4510 გაცემული ტფ. ქალაქის გამგეობის სახალხო განათლების განყოფილების მიერ ანა იაკობის ასული ელშინას სახელზე. 1919 წ. 8 დეკემბერს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 631 3—2

პავლე ვრიგორის ძე ულარიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ცხინვალის ერობიდან 1920 წ., სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული საავტომობილო გუნდიდან. და შოფერობის მოწმობა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 638 3—2

მიხეილ ალექსანდრეს ძე მატინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ბაქოს ბოქაულისაგან 1919 წ. № 2749. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 637 3—2

მომარაგების სამინისტროს მიერ
გაცემული ნებართვების სია.

რიცხვი.	ნებართვის № №	სერია.	ფასი	გვარი და სახელი.	საქონელი.
27 თებ.	1409	6	272	ს./ს. „ძმ. სესიაშვილების".	არყის ნახშირი.
„	1414	27	1311	„ენფიანჯიანც" თამბ. ქარხანა.	პაპიროსები.
„	1415	„	1306	„კომეტა"ს თამბ. ქარხანა.	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	1416	„	1305	„მირის" თამბ. ქარხანა.	„ „ „ „
„	1417	„	1313	მარკარიანი არტ.	ქვა-ნახშირი.
„	1418	„	1314	ერობ. კავშ. მთავ. კომ. წევ. სოლოროვს.	ვიჩინა და კარაქი.
„	1421	„	1308	„ბოზარჯიანცის" თამბ. ქარხ.	პაპიროსები.
„	1422	„	1307	„ „ „	„
„	1423	„	1310	„ „ „	„
„	1424	„	1309	„ „ „	„
„	1425	7	380	იტალ. საახალშ. სინდიკატს.	ფანერები.
28 თებ	1428	27	1327	ხითაროვი მოსეს.	მელის, მგლის დაკვერნის ტყავები.
„	1429	24	1169	ილია ჯაბადარი და არჩ. მეტრეველი.	ჯაგარი, პაპიროსები და დამ. თამბაქო.
„	1430	„	1170	ილია ჯაბადარი და არჩ. მეტრეველი.	ხალიჩები.
„	1432	27	1316	ბაქოს ქვეითა პოლკ. კაპელ. სეგალს.	ფონფარები და სიგნალის საყვირები.
„	1433	6	257	სომხ. სახ. ფნივ. გამგ. რწმუნებულს	ქაღალდი.
„	1440	27	1301	ამატუნი არ.	საღებავი მასალები.
„	1441	2	52	ლუიჯი და ატილო სბრიაკავა.	ხე-ტყის მასალა.
„	1442	„	53	„ „ „ „	„ „ „
„	1443	„	54	„ „ „ „	„ „ „
„	1444	„	55	„ „ „ „	„ „ „
„	1445	„	56	„ „ „ „	„ „ „
„	1446	„	57	„ „ „ „	„ „ „
„	1447	„	58	„ „ „ „	„ „ „
„	1448	„	59	„ „ „ „	„ „ „
„	1449	„	60	„ „ „ „	„ „ „
„	1450	„	61	„ „ „ „	„ „ „
„	1451	„	62	„ „ „ „	„ „ „
„	1452	„	63	„ „ „ „	„ „ „
„	1453	„	64	„ „ „ „	„ „ „
„	1454	27	1312	„ძმ. სეილანოვის" თამბ. ქარხანა.	პაპიროსები და დამ. თამბაქო.
1 მარტ.	1458	5	210	სტრადი ხარლამპოვი.	შეშა.
„	1459	„	211	„ „	„
„	1460	„	212	„ „	„
„	1461	„	213	„ „	„
„	1462	„	329	„ „	„
„	1463	7	341	საქ. სატრანსპოსტო საზოგადობას.	ფოთლოვანი თამბაქო.
„	1464	„	340	„ „ „	„ „
„	1465	„	326	რიზაევი ახმედ.	ხალიჩები.
„	1466	26	1256	„დიუბეკი"ს თამ. ქარხ.	პაპიროსები და დამ. თამბაქო.
„	1467	„	1277	„ „ „ „	„ „ „ „
„	1469	7	331	საქ. ცენტ. კ-თა კავშირს.	ჭარხალი.
„	147	„	321	საქ. საზ. „ტაიროვი ალიხანოვი და ტოლე".	ცარიელი ტომრები.
„	1472	„	322	საქ. სახ. „ტაიროვი ალიხანოვი და ტოლე".	„ „
„	1473	„	323	საქ. საზ. „ტაიროვი ალიხანოვი და ტოლე".	„ „
„	1474	„	324	საქ. საზ. „ტაიროვი ალიხანოვი და ტოლე".	„ „
„	1475	„	325	საქ. საზ- „ტაიროვი ალიხანოვი და ტოლე".	„ „
„	1476	27	1302	საქ. საზ. „ტაიროვი ალიხანოვი და ტოლე".	სარეცხის საპონი.
„	1477	7	336	„ძმ. ზეინალოვები .	გელათის ქვა-ნახშირი.
„	1478	„	337	„ „	„ „
„	1479	26	1274	„კომეტა"ს თამბ. ქარხანა.	პაპიროსები და დამუშ. თამბქო.
„	1481	27	1315	კოოპ. საზოგ. „კახეთი".	ღვინო კასრებით.
„	1482	„	1316	„ „ „	„ „
„	1483	„	1317	„ „ „	„ „
„	1484	„	1318	„ „ „	„ „
„	1485	„	1319	„ „ „	„ „
„	1486	„	1320	„ „ „	„ „
2 მარტ.	1490	6	281	აზერბ. რესპ. შემსყ. კომისარს.	დახერხილი ხე-ტყის მასალა.
„	1491	„	282	„ „ „ „	„ „ „
„	1492	„	283	„ „ „ „	„ „ „
„	1493	„	284	„ „ „ „	„ „ „
„	1494	„	285	„ „ „ „	„ „ „
„	1495	„	286	„ „ „ „	„ „ „
„	1496	„	287	„ „ „ „	„ „ „
„	1497	„	288	„ „ „ „	„ „ „
„	1498	„	289	„ „ „ „	„ „ „
„	1499	„	290	„ „ „ „	„ „ „
„	1500	„	291	„ „ „ „	„ „ „
„	1501	„	292	„ „ „ „	„ „ „
„	1502	7	333	ამერ. მახლ. აღმ. დამხმ. კომიტ. წარმომადგენელს.	შაქარი.
„	1503	6	293	აზერბ. რესპ. შემსყ. კომისარს.	დახერხილი ხე-ტყის მასალა.
„	1504	„	294	„ „ „ „	„ „ „
„	1505	„	295	„ „ „ „	„ „ „
„	1506	„	296	„ „ „ „	„ „ „
„	1507	„	297	„ „ „ „	„ „ „
„	1508	„	298	„ „ „ „	„ „ „
„	1509	„	299	„ „ „ „	„ „ „
„	1510	„	300	„ „ „ „	„ „ „
„	1511	7	301	„ „ „ „	„ „ „
„	1512	„	302	„ „ „ „	„ „ „
„	1513	„	303	„ „ „ „	„ „ „
„	1514	„	304	„ „ „ „	„ „ „
„	1515	„	305	„ „ „ „	„ „ „
„	1516	„	306	„ „ „ „	„ „ „
„	1517	„	307	„ „ „ „	„ „ „
„	1518	„	308	„ „ „ „	„ „ „
„	1519	„	309	„ „ „ „	„ „ „
„	1520	„	310	„ „ „ „	„ „ „
„	1521	„	311	„ „ „ „	„ „ „
„	1522	„	312	„ „ „ „	„ „ „
„	1523	„	313	„ „ „ „	„ „ „
„	1524	„	314	„ „ „ „	„ „ „
„	1525	„	315	„ „ „ „	„ „ „
„	1526	„	316	„ „ „ „	„ „ „
„	1527	„	317	„ „ „ „	„ „ „